



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა ელექტროენერგეტიკის
ტექნოლოგიასა და მენეჯმენტში

საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“

2010 წლის 21–22 მაისი
ქ.ქუთაისი, საქართველო

კონფერენცია ტარდება პროექტის “სამაგისტრო პროგრამა ელექტროენერგეტიკის ტექნოლოგიასა და მენეჯმენტში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID მიერ. პროექტი მიზნად ისახავს ქვეყნის ენერგოსექტორისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

კონფერენციის ორგანიზატორი

ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პარტნიორი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

კონფერენციის ძირითადი მიმართულებები:

ენერგეტიკული ტექნოლოგიები: ენერგეტიკის ეკონომიკა და მენეჯმენტი;
ენერგეტიკა და გარემოს დაცვა; განათლება ენერგეტიკის სფეროში

კონფერენციის სამუშაო ენები:

ქართული, ინგლისური, რუსული

განაცხადისა და მოხსენებების მოღებვის ბოლო ვადა – 2010 წლის 7 მაისი
საორგანიზაციო შენატანის გადახდა – 2010 წლის 10 მაისამდე

კონფერენციაში მონაწილეობის ღირებულება

საორგანიზაციო შენატანი შეადგენს:

ადგილობრივი მონაწილეებისათვის – 20 ლარი;
უცხოელი მონაწილეებისათვის – 20 აშშ დოლარი.

საორგანიზაციო შენატანი ფარავს შემდეგ ხარჯებს:

- სატრანსპორტო მომსახურების
- სასტუმროში ადგილების დაჯავშვნის მომსახურების
- ტექნიკური საშუალებების გამოყენების
- საფოსტო გზავნილების
- კულტურული პროგრამის
- ორგკომიტეტის მუშაობის

საორგანიზაციო შენატანი უნდა გადაირიცხოს კონფერენციის საბანკო ანგარიშზე
2010 წლის 10 მაისამდე.

მონაწილეთა საყურადღებოდ: ქ. ქუთაისში სასტუმროში ცხოვრების ღირებულება
შეადგენს 25–100 აშშ დოლარს დღეღამეში.

საბანკო რეკვიზიტები

საორგანიზაციო შენატანი უნდა გადაირიცხოს შემდეგ **საბანკო ანგარიშზე:**

ბანკი – ს.ს. “თიბისის ბანკის” ქუთაისის ფილიალი,

საბანკო კოდი – 220101888,

მიმღების დასახელება – სსიპ “აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი”.

ანგარიშსწორების ანგარიში - 340801002 /GEL; 341801002 /USD.

გადახდის ქვითარში აუცილებელია მიეთითოს – **“ენერგეტიკის კონფერენციისთვის”.**

მოხსენებების წარმოდგენის წესი

*(საორგანიზაციო კომიტეტი იტოვებს უფლებას არ განიხილოს ამ მოთხოვნების
დაუცველად გაფორმებული მოხსენებები)*

მოხსენების მოცულობა არა უმეტეს A4 ფორმატის 6 გვერდისა. ყველა არე – 25 მმ.

მოხსენება წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ Word-ში. გამოყენებული
შრიფტი: ქართული სტატიისათვის AcadNusx. რუსული და ინგლისური მოხსენებებისათვის
Times New Roman. სტრიქონთაშორისი ინტერვალი—1. ფორმულები აკრებილი უნდა იყოს

ფორმულების რედაქტორ Equation-ში. ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ტექსტში ჩასმული უნდა იყოს JPEG ან TIF ფორმატით.

მოხსენების ტექსტის გაფორმება

- პირველ სტრიქონზე უნდა დაიბეჭდოს მოხსენების სათაური (შრიფტი 14);
- სტრიქონის გამოტოვებით – ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები (შრიფტი 13);
- მომდევნო სტრიქონზე ორგანიზაციის სრული დასახელება (შრიფტი 12, სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას აღნიშვნა *);
- სტრიქონის გამოტოვებით – მოხსენების მოკლე ანოტაცია (შრიფტი 10 დახრილი შრიფტით, არაუმეტეს 500 სიმბოლოსი);
- სტრიქონის გამოტოვებით – მოხსენების შინაარსი (შრიფტი 12);
- ორი სტრიქონის გამოტოვებით – გამოყენებული ლიტერატურა (შრიფტი 10). ლიტერატურა უნდა გაფორმდეს ISO სტანდარტის მიხედვით ;
- ორი სტრიქონის გამოტოვებით რეზიუმე ინგლისურ ენაზე (შრიფტი 10t, არაუმეტეს 1000 სიმბოლოსი).

უნდა იქნას წარმოდგენილი მოხსენების ელექტრონული ვერსია ჩაწერილი კომპაქტდისკზე (CD-ROM) და A4 ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი ერთი ეგზემპლარი. ან მოხსენების ელექტრონული ვერსია გაიგზავნოს საორგანიზაციო კომიტეტის მისამართზე: energyconf@gmail.com.

ნაშრომის შენაარსა და ხარისხზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორებს.

ერთი ავტორის მიერ წარმოდგენილი მოხსენებების რაოდენობა – არა უმეტეს 2-სა.

ლიტერატურის გაფორმება

წიგნების ან მონოგრაფიების გაფორმებისას უნდა მიეთითოს: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; წიგნის ან მონოგრაფიის დასახელება; გამოცემის ადგილი; გამომცემლობის დასახელება; გამოცემის წელი, გვერდების რაოდენობა.

მაგალითად,

ივანიძე ვ. ენერგეტიკა. თბილისი: აისი, 2000.–240 გვ.

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისას უნდა მიეთითოს: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; ნაშრომის დასახელება; ორი დახრილი ხაზი; ჟურნალის (კონფერენციის, კონგრესის და ა.შ.) დასახელება; პუბლიკაციის ადგილი; გამოცემის წელი; ჟურნალის (ტომის) ნომერი, გვერდები.

მაგალითად,

ივანიძე ვ. რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალის შეფასების შესახებ// ენერგეტიკის საკითხები. ქუთაისი, 2009. № 5, გვ. 12-16.

კონფერენციის მოხსენებათა კრებულს მონაწილეები მიიღებენ რეგისტრაციის დროს ან ფოსტით (დაუსწრებელი მონაწილეები).

მოხსენებათა კრებულის ელექტრონული ვერსია განთავსდება ინტერნეტში.

კონფერენციის მოხსენებათა კრებულის გამოცემის ხარჯები დაიფარება კონფერენციის ორგანიზატორის მიერ.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საფოსტო მისამართი: თამარ მეფის ქ., 59, ქუთაისი, 4600, საქართველო

ელ/ფოსტა: energyconf@gmail.com

ტელეფონები: (+995) 99 570516

(+995) 99 374589

სააპლიკაციო ფორმა

საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია
„ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“
2010 წლის 21–22 მაისი

გვარი, სახელი	
სამეცნიერო ხარისხი	
სამუშაო ადგილი და თანამდებობა	
ტელეფონი	
ფაქსი	
ელექტრონული ფოსტა	
მოსხენების სათაური	
თანავტორები	
კონფერენციაში მონაწილეობის ფორმა	<input type="checkbox"/> დასწრებული <input type="checkbox"/> დაუსწრებელი
სასტუმრო	<input type="checkbox"/> არის საჭირო <input type="checkbox"/> არ არის საჭირო

ასევე გვაცნობეთ საორგანიზაციო შენატანის გადახდის შესახებ.